

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება  
№427 2010 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი**

**ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის  
ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის  
წესის დამტკიცების შესახებ**

**მუხლი 1.** სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს: *(8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)*

1. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის წესი (დანართი №1).

2. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის თანდართული ფორმები (დანართი №2 და დანართი №3).

3. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის მოთხოვნისა და ფიტოსანიტარიული პროცედურების ჩატარების შესახებ დოკუმენტი (დანართი №4).

4. აქტი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაუქმების შესახებ (დანართი №5).

**მუხლი 2.** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის წესის“ ძალაში შესვლასთან დაკავშირებით უზრუნველყოს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ქვეყნების მცენარეთა დაცვის ეროვნული ორგანიზაციების ინფორმირება ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მოდელებისა და უფლებამოსილი გამცემი ორგანოების შესახებ.

**მუხლი 3.** ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის №2-201 ბრძანება.

2. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ გასაცემი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 6 ივლისის №2-117 ბრძანება.

**მუხლი 4.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული  
სერტიფიკატის გაცემის წესი

თავი I  
ზოგადი დებულებები

**მუხლი 1**

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ფიტოსანიტარიულ პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემასთან.

**მუხლი 2**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ანალიზი** – მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან მათი იდენტიფიკაციის მიზნით ჩატარებული არავიზუალური გამოკვლევა;

ბ) **გამცემი ორგანო** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;

გ) **დამატებითი დეკლარაცია** – ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში ჩასართავი, იმპორტიორი ქვეყნის მიერ მოთხოვნილი სპეციფიკური დამატებითი ინფორმაცია ტვირთის მდგომარეობის შესახებ რეგულირებად მავნე ორგანიზმებთან მიმართებით;

დ) **დამუშავება** – პროცედურები მავნე ორგანიზმის განადგურების, ინაქტივაციის, მოშორების, სტერილიზაციის ან დევიტალიზაციის მიზნით;

ე) **დასნეზოვნება** – საქონელში ცოცხალი ორგანიზმის არსებობა, რომელიც წარმოადგენს მცენარის ან მცენარეული პროდუქტის მავნე ორგანიზმს. დასნეზოვნება მოიცავს ინფიცირებას;

ვ) **დევიტალიზაცია** – პროცედურა, რომლის შემდეგაც მცენარე და მცენარეული პროდუქტები კარგავენ გაღივების, ზრდა-განვითარებისა და რეპროდუქციის უნარს;

ზ) **ვიზუალური შემოწმება** – მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან სხვა რეგულირებადი ობიექტების ფიზიკური შემოწმება მავნე ორგანიზმების ან კონტამინაციის გამოვლენის მიზნით შეუიარაღებელი თვალის, ლუპის, ბინოკულარის ან მიკროსკოპის საშუალებით, ანალიზისა და გადამუშავების გარეშე;

თ) **თავისუფალი ზონა** – ზონა, რომელშიც მოცემული მავნე ორგანიზმის არარსებობა მეცნიერულად დასაბუთებულია და საჭიროების შემთხვევაში ამ მდგომარეობის შენარჩუნება უზრუნველყოფილია;

ი) **ინსპექტირება** – მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა მასალების ვიზუალური შემოწმება, მავნე ორგანიზმების არსებობის გამოვლენის მიზნით ან/და ფიტოსანიტარიულ ზომებთან შესაბამისობის დადგენა; *(8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)*

კ) **ინტროდუქცია** – მავნე ორგანიზმის შემოჭრა, რომელსაც თან ახლავს მისი აკლიმატიზაცია;

ლ) **კონტამინაცია** – საქონელში, დასაწყობების ადგილში, სატრანსპორტო საშუალებაში ან კონტეინერში მავნე ორგანიზმის ან სხვა რეგულირებადი ობიექტის არსებობა, რაც არ წარმოადგენს დასნებოვნებას;

მ) **მავნე ორგანიზმი** – მცენარეების ან მცენარეული პროდუქტებისათვის მავნე მცენარის, ცხოველის ან პათოგენური აგენტის ნებისმიერი სახეობა, სახესხვაობა ან ბიოტიპი;

ნ) **მცენარეები** – ცოცხალი მცენარეები და მათი ნაწილები, თესლებისა და გენეტიკური მასალების ჩათვლით;

ო) **მცენარეული პროდუქტები** – მცენარეული წარმოშობის ნედლეული (მარცვლოვნების ჩათვლით) და გადამამუშავებული პროდუქტები, რომლებიც თავიანთი ბუნებიდან ან გადამამუშავების ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ქმნიან მავნე ორგანიზმების ინტროდუქციისა და გავრცელების რისკს;

პ) **რეგულირებადი ობიექტი** – ნებისმიერი მცენარე, მცენარეული პროდუქტი, დასაწყობების ადგილი, შეფუთვა, სატრანსპორტო საშუალება, კონტეინერი, ნიადაგი და სხვა ორგანიზმი, ობიექტი ან მასალა, სადაც შესაძლებელია მავნე ორგანიზმის არსებობა, ან რომელიც ხელს უწყობს მის გავრცელებას, რომელთა მიმართ აუცილებელია, გატარდეს ფიტოსანიტარიული ზომები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო გადაზიდვებს;

ჟ) **რეგულირებადი მავნე ორგანიზმი** – საკარანტინო მავნე ორგანიზმი ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი;

რ) **რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი** – არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი, რომლის არსებობა სარგავ და სათესლე მასალაში იძლევა ეკონომიკურად არასასურველ ეფექტს ამ მცენარეების გამიზნული გამოყენების შემთხვევაში, რის გამოც ისინი რეგულირდება ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე იმპორტის განხორციელებისას;

ს) **რეექსპორტისათვის განკუთვნილი ტვირთი** – შემდგომი ექსპორტის მიზნით ქვეყანაში იმპორტირებული ტვირთი. შესაძლებელია ტვირთის შენახვა, დანაწევრება, სხვა ტვირთებთან შერევა ან შეფუთვის შეცვლა იმ პირობით, რომ მათ არ განუცდიათ მავნე ორგანიზმებისაგან დასნებოვნება ან კონტამინაცია;

ტ) **საქონელი** – მცენარეთა, მცენარეული პროდუქტის ან სხვა მასალების სახეობა, რომელიც გადაადგილდება სავაჭრო ან სხვა მიზნებისათვის;

უ) **საკარანტინო ზონა** – ზონა, რომელშიც არსებობს საკარანტინო მავნე ორგანიზმი და მიმდინარეობს ბრძოლა მის წინააღმდეგ;

ფ) **ტვირთი** – მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან/და სხვა მასალების გარკვეული რაოდენობა, რომელიც გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორეში და რომელზეც გაცემულია ერთი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, მოთხოვნის შესაბამისად (ტვირთი შესაძლებელია შედგებოდეს ერთი ან მეტი სახეობის საქონლის ან სასაქონლო პარტიისაგან);

ქ) **ტრანზიტული ტვირთი** – ტვირთი, რომელიც არ არის განკუთვნილი ქვეყანაში იმპორტისათვის, არამედ გადაადგილდება მისი გავლით სხვა ქვეყანაში გახსნის, დანაწევრების, სხვა ტვირთებთან შერევისა და შეფუთვის შეცვლის გარეშე, რომელთაც არ განუცდიათ მავნე ორგანიზმებისაგან დასნებოვნება ან კონტამინაცია;

ღ) **უფლებამოსილი პირი** – შემოსავლების სამსახურის ან ეროვნული სააგენტოს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც უფლებამოსილია, გასცეს საერთაშორისო ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი;

ყ) **ფიტოსანიტარიული პროცედურა** – ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების მეთოდი, რომელიც მოიცავს რეგულირებადი მავნე ორგანიზმის მიმართ ინსპექტირების, ანალიზის, ზედამხედველობის ან დამუშავების ჩატარებას;

შ) **ფიტოსანიტარიული რეგულაციები** – წესი, რომლის დანიშნულებაც საკარანტინო მავნე ორგანიზმის ინტროდუქციის ან/და გავრცელების აღკვეთა, ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმის მიერ გამოწვეული ეკონომიური ზარალის შემცირება, ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების პროცედურების ჩათვლით;

ჩ) **ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება** – ფიტოსანიტარიული პროცედურების გამოყენება, რაც განაპირობებს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემას;

ც) **ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული, რეგულირებადი ობიექტის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით (FAO, 1997) დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

ძ) **ფიტოსანიტარიული ზომა** – შესაბამისი კანონმდებლობა, პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს საკარანტინო მავნე ორგანიზმის ინტროდუქციის ან/და გავრცელების აღკვეთას, ან რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალის შემცირებას;

წ) **შეტანა** – ტვირთის გადაადგილება ზონაში შეტანის პუნქტის გავლით;

ჭ) **შეტანის პუნქტი** – აეროპორტი, საზღვაო პორტი ან სახმელეთო პუნქტი ქვეყნის საზღვარზე, რომელიც განკუთვნილია ტვირთების იმპორტის ან/და მგზავრების შემოსვლისათვის;

ხ) **წარმოშობის ქვეყანა (მცენარეებისგან შემდგარი ტვირთის შემთხვევაში)** – ქვეყანა, სადაც მცენარეები იქნა მოყვანილი;

ჯ) წარმოშობის ქვეყანა (მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისაგან შემდგარი ტვირთის შემთხვევაში) – ქვეყანა, სადაც მოყვანილ იქნა მცენარეები, რომელთაგანაც მიღებულია მოცემული მცენარეული პროდუქტები;

3) წარმოშობის ქვეყანა (რეგულირებადი ობიექტები, გარდა მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისა) – ქვეყანა, სადაც მოცემულ რეგულირებად ობიექტებს, შესაძლოა, პირველად შექმნოდა მავნე ორგანიზმებისაგან დასნებოვნების საფრთხე;

3ა) ამოღებულია *(8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)*

3<sup>1</sup>) წარმოების ადგილი – ნებისმიერი მიწის ნაკვეთი ან ნაკვეთების ერთიანობა, რომელიც გამოიყენება, როგორც ერთი საწარმო ან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთეული. იგი შეიძლება მოიცავდეს, ასევე, ნაკვეთებს, რომლებიც იმართება ცალკე, ფიტოსანიტარიული დანიშნულებით; *(8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)*

3<sup>2</sup>) წარმოშობის ადგილი - მცენარის, მცენარეული პროდუქტის წარმოების ადგილი (ადგილები) ან ადგილი, სადაც ტვირთი იქნის ფიტოსანიტარიულ სტატუსს; *(8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)*

3<sup>3</sup>) ფიტოსანიტარიული სტატუსი - წარმოშობის ადგილზე ტვირთის მდგომარეობა მავნე ორგანიზმებთან მიმართებაში ან ამ მდგომარეობის შეცვლა გარკვეული დროის განმავლობაში, ახალ ადგილზე მოხვედრისას, რეგულირებადი მავნე ორგანიზმებით შესაძლო დასნებოვნების ან დაბინძურების გამო. ტვირთის ფიტოსანიტარიული სტატუსი, ასევე, შეიძლება შეიცვალოს გადამუშავების, დამუშავების ან გაუსნებოვნების შედეგად. *(8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)*

## თავი II

### სერტიფიკატის გაცემის წესი

#### მუხლი 3

1. ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს/რეექსპორტის ფი-ტო-სა--ნი-ტა-რიულ სერტიფიკატს გასცემს: *(11.03.2011 N 116)*

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ეროვნული სააგენტო);

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ კონ-ტროლის ზონებში – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამ-სა-ხუ-რი), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სერტიფიკატის გა-ცე-მი-სათვის აუცილებელია:

ბ.ა) ნიმუშის აღება ანალიზისათვის;

ბ.ბ) დამუშავება.

2. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელების

საფუძველზე, იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების გათვალისწინებით. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

3. ფიტოსანიტარიული პროცედურები მოიცავს: (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

- ა) საქონლის თანხმლები დოკუმენტაციის შემოწმებას;
- ბ) ზედამხედველობას - ინფორმაციის მოძიებას, საქონლის წარმოების ადგილზე ადრე ჩატარებული გამოკვლევების, მონიტორინგის შესახებ;
- გ) ინსპექტირებას;
- დ) ექვსის არსებობის შემთხვევაში, ნიმუშების აღებას ანალიზისათვის (ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა ანალიზის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში);
- ე) დამუშავებას.

4. უფლებამოსილი პირის მიერ ფიტოსანიტარიული პროცედურები ტარდება ტვირთის მდებარეობის ადგილზე.

5. თუ ტვირთი არ პასუხობს იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ გაიცემა, რის თაობაზეც უფლებამოსილი პირი ატყობინებს განმცხადებელს.

6. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ გაიცემა, თუ განმცხადებელს სურსათთან დაკავშირებულ საქმიანობაში, კრიტიკული შეუსაბამობის გამო, შეჩერებული აქვს საწარმოო პროცესი, რომელიც უკავშირდება ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელს. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

7. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემამდე ჩატარებულ ყველა ფიტოსანიტარიულ პროცედურაზე, უფლებამოსილი პირის მიერ, ფიტოსანიტარიული პროცედურების შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის მოთხოვნისა და ფიტოსანიტარიული პროცედურების ჩატარების შესახებ დოკუმენტის (დანართი №4) მე-2 ნაწილში. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

8. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა ტვირთზე 5 სამუშაო დღის განმავლობაში. (9.12.2014 N 672)

#### **მუხლი 4**

1. რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა, თუ:

ა) ტვირთი იმპორტირებულია ქვეყანაში და შემდგომ ხორციელდება მისი ექსპორტი სხვა ქვეყანაში;

ბ) დაცულია იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნები; (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

გ) ტვირთი დასაწყობდა, დანაწევრდა, მოხდა სხვა ტვირთებთან შერევა ან შეფუთვის შეცვლა იმ პირობით, რომ მათ არ განუცდიათ მავნე ორგანიზმებისაგან დასნებოვნება ან კონტამინაცია.

2. რეექსპორტის შემთხვევაში ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დედანი ან მისი დამოწმებული ასლი მიჰყვება ტვირთს.

3. თუ იმპორტირებული ტვირთი იმყოფებოდა მავნე ორგანიზმებისაგან დასნებოვნების ან კონტამინაციის საშიშროების ქვეშ, ან შეცვლილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა ან მთლიანობა, ასეთ ტვირთზე, ქვეყნიდან გატანისას, გაიცემა ექსპორტისას გასაცემი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში მიეთითება წარმოშობის ქვეყანა. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

4. ტრანზიტული ტვირთის შემთხვევაში, თუ არ მოხდა ტვირთის მავნე ორგანიზმებით დასნებოვნება ან კონტამინაცია, მაშინ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ გაიცემა. თუ მოხდა ტვირთის მავნე ორგანიზმებით დასნებოვნება ან კონტამინაცია, მაშინ გაიცემა ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. თუ ტვირთი დანაწევრდა, მოხდა სხვა ტვირთებთან შერევა ან შეფუთვის შეცვლა, მაშინ გაიცემა რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

4<sup>1</sup>. ტრანზიტის დროს, სატრანსპორტო საშუალების შეცვლის ან ორი ან მეტი სასაქონლო პარტიის ერთი სატრანსპორტო საშუალებით ტრანსპორტირებისას, არ არის აუცილებელი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა, გარდა ტვირთების ფიტოსანიტარიული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევებისა. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

5. სერტიფიკატის გაცემიდან ტვირთის ქვეყნის ტერიტორიიდან გატანა უნდა მოხდეს 14 კალენდარული დღის ვადაში.

6. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მონაცემების გადამოწმების მიზნით, იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნით, შეიძლება ჩატარდეს მცენარის ან მცენარეული პროდუქციის წარმოების ადგილების და ჩატარებული პროცედურების შემოწმება. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

7. თუ იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნები არის ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების მსგავსი ან მათზე ნაკლებად მკაცრი, არ ხდება დამატებითი ინსპექტირების ჩატარება და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა დოკუმენტური კონტროლის საფუძველზე. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

8. თუ იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნები არის ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნებისგან განსხვავებული ან მათზე უფრო მკაცრი, უნდა განხორციელდეს დამატებითი ინსპექტირება, ტვირთის იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

9. რეექსპორტის შემთხვევაში, თუ ტვირთი შემოსულია ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გარეშე და დანიშნულების ქვეყანა ითხოვს აღნიშნულ პროდუქციაზე

ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს, გაიცემა ექსპორტისას გასაცემი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, შესაბამისი პროცედურების დაცვით. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

10. რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე დამატებითი დეკლარაცია უნდა ეფუძნებოდეს რეექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებებს და მასში არ უნდა მოხდეს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ორიგინალიდან ან მისი დამოწმებული ასლიდან დამატებითი დეკლარაციის გადმოწერა. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

**მუხლი 5** ამოღებულია (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

### **მუხლი 6**

1. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი უნდა იყოს დედანი ან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამცემი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი.

2. შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული სერტიფიცირება იმ პირობით, რომ:

ა) გაცემის ფორმა და დაცვის მექანიზმები მისაღებია იმპორტიორი ქვეყნისათვის;

ბ) წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება მიღებულ მოდელს (მოდელებს);

გ) ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ხორციელდება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში;

დ) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გამცემი ორგანოს კომპეტენტურობა დადგენილია.

### **მუხლი 7**

1. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მისაღებად, ფიზიკური ან იურიდიული პირი ავსებს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის მოთხოვნისა და ფიტოსანიტარიული პროცედურების ჩატარების შესახებ დოკუმენტის (დანართი №4) პირველ ნაწილს და წარადგენს გამცემ ორგანოში, ელექტრონულად ან წერილობით, ასევე, განაცხადს თან უნდა დაურთოს, იურიდიული პირის შემთხვევაში, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

2. რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მისაღებად განაცხადს თან უნდა ახლდეს წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილი სამსახურების მიერ გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ან მისი დამოწმებული ასლი.



## მუხლი 8

1. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შევსება ხდება ეროვნული სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ მცენარეთა დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ივსება ინგლისურ ან რუსულ ენაზე და შეესაბამება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით დამტკიცებულ ფორმას. *(8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)*

3. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტო-სა--ნი--ტარიული სერტიფიკატი ივსება ლურჯი ან შავი ბურთუ-ლიანი კალმით. ასევე, შესაძლებელია მისი ელექტრონულად შევსება. მასში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუმ-ვებელია მისი გადახაზვა, გადაფხევა, გადაშლა და სხვა. *(21.01.2011 N34)*

4. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ივსება სამ პირად, რომელთაგან ერთი პირი რჩება გამცემ ორგანოს, ორი გადაეცემა ტვირთის მფლობელს (ან ტვირთის მფლობელის ნდობით აღჭურვილ პირს), რომელთაგან ერთი პირი რჩება ტვირთის მფლობელს, მეორე – ტვირთის თანმხლებია.

5. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის რეგისტრაცია ხორციელდება ჟურნალში ან ელექტრონულად ჟურნალში.

## მუხლი 9

1. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დანართის შევსება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შესაბამის გრაფაში ჩასაწერი ინფორმაცია აღემატება აღნიშნული გრაფის ზომას.

2. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დანართის ნომერი, თარიღი, ხელმოწერა და ბეჭედი, შესაბამისი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ნომრის, თარიღის, ხელმოწერისა და დამოწმებული ბეჭდის იდენტური უნდა იყოს. *(8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)*

3. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შესაბამის გრაფაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ მასში ჩასაწერი ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში.

4. დანართი არ უნდა შეიცავდეს იმ სახის ინფორმაციას, რომელიც ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში/რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში არ იწერება მაშინაც კი, როდესაც მასში არის საკმარისი ადგილი.

**მუხლი 9<sup>1</sup>** (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

1. ეროვნული სააგენტოს მიერ ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების შემდეგ, ექსპორტის განხორციელებამდე, ტვირთების შემადგენლობის ჩანაცვლებისა და ინვაზიის თავიდან აცილების, მათი ფიტოსანიტარიული უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, ტვირთის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალება ილუქება. ლუქის მთლიანობა მოწმდება შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი მოხელის მიერ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, საქართველოს ტერიტორიის დატოვებამდე. არ ილუქება ისეთი ტვირთების გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალება, რომელზეც ლუქის დაზიანების გარეშე შესაძლებელია ტვირთთან შეხება ან ტვირთის ჩანაცვლება, ასევე, მსუბუქი და სატვირთო-სამგზავრო ავტომობილები, ავტობუსი, სარკინიგზო ტრანსპორტი და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის გადასაზიდი ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელზე განთავსებულ ტვირთზეც ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა ფიზიკური შემოწმების გარეშე (იმ მცენარეული წარმოშობის პროდუქციაზე, რომლებიც ჩამოთვლილია ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტი 32-ის დამატება 2-ში). (9.12.2014 N 672)

1<sup>1</sup>. ექსპორტიორის მოთხოვნის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების გამოცვლის ან სატრანსპორტო საშუალებაში ტვირთის რაოდენობის შეცვლის მიზნით, სატრანსპორტო საშუალებაზე ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელია ლუქის შეცვლა. დალუქვისათვის გამოიყენება ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი ლუქები. (9.12.2014 N 672)

1<sup>2</sup>. ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ, ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების დალუქვის დროს, ინფორმაცია ლუქის რაოდენობის და ლუქის ნომრის შესახებ შეიტანება ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის მოთხოვნისა და ფიტოსანიტარიული პროცედურების ჩატარების შესახებ დოკუმენტის (დანართი №4) მე-2 ნაწილის მე-15 პუნქტში (დამატებითი ინფორმაცია). (9.12.2014 N 672)

2. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დაკარგვის, დაზიანების, მისამართის, დანიშნულების ქვეყანაში შეტანის პუნქტის შეცვლის, საექსპორტოდ განკუთვნილი ტვირთის მიერ ქვეყნის დატოვებამდე სატრანსპორტო საშუალების გამოცვლის, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შევსებისას ინფორმაციის გამოტოვების ან ინფორმაციის არასწორად შეტანის შემთხვევაში, ექსპორტიორის მოთხოვნით, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი უნდა შეიცვალოს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გამცემი ორგანოს მიერ. გამცემი ორგანოს მიერ შეცვლილი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ძალადაკარგულად

ცხადდება და დგება აქტი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაუქმების შესახებ (დანართი №5).

3. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შეცვლის შემთხვევაში, გამცემ ორგანოს ექსპორტიორის მიერ უბრუნდება გაუქმებული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ორიგინალი და დამოწმებული ასლები. თუ გაუქმებული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დაბრუნება შეუძლებელია (დაიკარგა ან სხვა ქვეყანაშია), შეცვლილი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დამატებით დეკლარაციაში (გრაფა №11) უნდა აღინიშნოს გაუქმებული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ნომერი და გაცემის თარიღი. ახალ ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს/რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს არ უნდა ჰქონდეს იგივე ნომერი, რაც შეცვლილს.

4. ქვეყნის ტერიტორიიდან ტვირთის გატანის ვადის განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იყოს გაუქმებული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის თარიღი.

5. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი შეიძლება გაიცეს ფიზიკური შემოწმების ჩატარების გარეშე, მხოლოდ, იმ მცენარეული წარმოშობის პროდუქციაზე, რომლებიც ჩამოთვლილია ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტის (ISPM) 32-ის დამატება 2-ში.

### **მუხლი 10**

გამცემ ორგანოში ინახება (ელექტრონულად ან წერილობითი ფორმით):

- ა) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მისაღებად წარდგენილი განაცხადი;
- ბ) აქტი ფიტოსანიტარიული პროცედურების შესახებ;
- გ) ანალიზების შედეგები;
- დ) გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები;
- ე) შეუსაბამობების შესახებ საქონლის იმპორტიორი ქვეყნებიდან მიღებული შეტყობინებები.

### **მუხლი 11**

1. იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების შესრულების მიზნით ეროვნული სააგენტო შემოსავლების სამსახურს რეგულარულად და დროულად აწვდის სათანადო ინფორმაციას:

- ა) იმპორტიორი ქვეყნების სპეციფიკური მოთხოვნების თაობაზე;
- ბ) მავნე ორგანიზმების გავრცელების შესახებ;
- გ) სურსათის წარმოებასთან დაკავშირებული კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში საწარმოო პროცესის შეჩერების შესახებ;

დ) გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების შესახებ;

ე) სხვა საჭირო ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია ტვირთის სერტიფიცირებასთან.

2. შემოსავლების სამსახური ეროვნულ სააგენტოს ელექტრონულად უგზავნის მონაცემებს გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატებისა და გამოვლენილი დარღვევების შესახებ, ხოლო ინფორმაცია იმ გამოვლენილი დარღვევების შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის მცენარეთა სიჯანსაღეს, ეროვნულ სააგენტოს მიეწოდება დაუყოვნებლივ.

3. ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური ყოველმხრივ ხელს უწყობენ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების გაცემის პროცედურების სრულყოფას, ქმნიან და განავითარებენ ელექტრონულ სისტემებს, რაც საშუალებას იძლევა, ერთიან ბაზაში აისახოს საქონლის მიმართ განხორციელებული კონტროლის პროცედურები.

### თავი III

### ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შევსების წესი

#### **მუხლი 12** (8.07.2014 N 440 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მესამოცე დღეს)

1. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი იყოფა გრაფებად, რომლებშიც მიეთითება:

ა) №1 გრაფაში (საქართველოს მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია) - აღნიშნება ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გამცემი ორგანოსა და ქვეყნის დასახელება;

ბ) №2 გრაფაში (მცენარეთა დაცვის ორგანიზაციას) - მიეთითება იმპორტიორი ქვეყნის მცენარეთა დაცვის ეროვნული ორგანიზაციის დასახელება. იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი ტრანზიტით გადაადგილდება იმ ქვეყნის გავლით, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული სატრანზიტო მოთხოვნები (ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის საჭიროების ჩათვლით), აღნიშნულ გრაფაში იწერება როგორც იმპორტიორი, ისე ტრანზიტული ქვეყნის დასახელება. თუ იმპორტირებული ტვირთი რეექსპორტით გადის სხვა ქვეყანაში, მიეთითება ორივე იმპორტიორი ქვეყნის დასახელება;

გ) №3 გრაფაში (№) - მიეთითება ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის საიდენტიფიკაციო უნიკალური ნომერი, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიკაციის სისტემასთან, რაც იძლევა მიკვლევადობის საშუალებას, აიოლებს გადამოწმებასა და აღრიცხვიანობას;

დ) №4 გრაფაში (ექსპორტიორის დასახელება და მისამართი) - მიეთითება ექსპორტიორის დასახელება და მისამართი. იგი ადგენს ტვირთის წარმოშობას, ამასთან, მიეთითება მიკვლევადობის გაიოლებისა და ექსპორტიორი ქვეყნის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის გადამოწმებისათვის. დასახელება და მისამართი რეალურად უნდა ეკუთვნოდეს ექსპორტიორ ქვეყანას. თუ ექსპორტიორი არის

უცხოური მისამართის მქონე საერთაშორისო კომპანია, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს მისი ადგილობრივი წარმომადგენლის ან ტვირთის გამგზავნის დასახელება;

ე) №5 გრაფაში (ტვირთის მიმღების დასახელება და მისამართი) - მიეთითება ტვირთის მიმღების დასახელება და მისამართი, რომელიც უნდა იყოს საკმაოდ დეტალური, რომ იმპორტიორი ქვეყნის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციისათვის შესაძლებელი იყოს ტვირთის მიმღების იდენტიფიკაციის დადასტურება. იმპორტიორ ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს, რომ აღნიშნული მისამართი ეკუთვნოდეს იმპორტიორ ქვეყანას;

ვ) №6 გრაფაში (წარმოშობის ადგილი) - მიეთითება ადგილი (ადგილები), სადაც ტვირთი იძენს ფიტოსანიტარიულ სტატუსს, მაგალითად, სადაც შესაძლებელია მასში მავნე ორგანიზმების მოხვედრა. როგორც წესი, ეს არის მცენარეული პროდუქციის წარმოების ადგილი და იწერება წარმოშობის ქვეყანა. თუ მცენარეული პროდუქცია დასაწყობებულია ან გადაადგილდება, მისი ფიტოსანიტარიული სტატუსი შეიძლება პერიოდულად იცვლებოდეს ახალი ადგილმდებარეობის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ახალი ადგილმდებარეობა შეიძლება ჩაითვალოს წარმოშობის ადგილად. განსაკუთრებული გარემოებებისას, ტვირთმა შეიძლება მიიღოს ფიტოსანიტარიული სტატუსი ერთზე მეტი ადგილიდან. მსგავს შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია, საქმე ეხებოდეს მავნე ორგანიზმებს ერთი ან მეტი ადგილიდან, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გამცემმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს, რომელი წარმოშობის ადგილი ან ადგილები ასახავენ უფრო ზუსტად სიტუაციას, რომელმაც მიანიჭა ტვირთს ფიტოსანიტარიული სტატუსი. ასეთ შემთხვევებში, დეკლარირებულ უნდა იქნეს თითოეული ადგილი. თუ ტვირთი შედგება სხვადასხვა პარტიისაგან, რომელთა წარმოშობის ადგილები ან ქვეყნები განსხვავებულია, იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნის შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს ყველა ქვეყანა და ადგილი. თუ მცენარე ან მცენარეული წარმოშობის პროდუქცია იმპორტირებულია ქვეყანაში ერთი ან მეტი სავაჭრო პერიოდის განმავლობაში, იგი იცვლის წარმოშობის ქვეყანასა და ადგილს. ტვირთმა შეიძლება მიიღოს ფიტოსანიტარიული სტატუსი ერთზე მეტი ადგილიდან. საჭიროების შემთხვევაში, გაცხადებული უნდა იყოს საწყის ქვეყანასთან ერთად, ფრჩხილებში, თითოეული ქვეყანა და ადგილი. მაგალითად, „ექსპორტიორი ქვეყანა A (წარმოშობის ქვეყანა B)“;

ზ) №7 გრაფაში (დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალებები) - გამოყენებული უნდა იქნეს ტერმინები: „ocean vessel - საოკეანე ხომალდი“, „boat - გემი“, „aircraft - თვითმფრინავი“, „road - მსუბუქი ავტომანქანა“, „truck - სატვირთო ავტომანქანა“, „rail - სარკინიგზო ტრანსპორტი“, „mail - საფოსტო გზავნილი“, „carried by hand - ხელბარგი“. უნდა ჩაიწეროს საზღვაო ტრანსპორტის დასახელება და რეისის ნომერი, ასევე, საჰაერო ხომალდის რეისის ნომერი, თუკი ცნობილია;

თ) №8 გრაფაში (დეკლარირებული შეტანის პუნქტი) - მიეთითება დანიშნულების ქვეყანაში ტვირთის შეტანის პირველი სასაზღვრო პუნქტი, ან თუ იგი არ არის ცნობილი – ქვეყნის დასახელება. როდესაც ტვირთი გადის ტრანზიტით სხვა ქვეყანას და ამ ქვეყანას აქვს ტრანზიტის ფიტოსანიტარიული მოთხოვნები, გრაფაში,

დამატებით, ფრჩხილებში იწერება ტვირთის ტრანზიტის შეტანის სასაზღვრო პუნქტი, ან თუ იგი არა რის ცნობილი – ქვეყნის სახელი;

ი) №9 გრაფაში (პროდუქციის დასახელება და რაოდენობა) - აღნიშნება მცენარის, მცენარეული პროდუქციისა და სხვა რეგულირებადი ობიექტების დასახელება, ზომის ერთეული და რაოდენობა (რომელიც უნდა მოიცავდეს ტვირთის კატეგორიას, მაგალითად, ხილი, სათესი და სარგავი მასალა და სხვ.), რათა იმპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილ პირს შეეძლოს ტვირთის შემადგენლობის სათანადო შემოწმება. იდენტიფიკაციის გასაიოლებლად, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო კოდები (მაგალითად, სეს ესნ კოდები). გამოყენებული უნდა იქნეს მეტრული სისტემის ზომის ერთეულები და ტერმინები. განსხვავებული ფიტოსანიტარიული მოთხოვნები შესაძლებელია გამოკვეთილ იქნეს ტვირთის საბოლოო დანიშნულებიდან გამომდინარე (მაგალითად, სასურსათო ან გამრავლებისათვის) ან პროდუქტის მდგომარეობიდან გამომდინარე (მაგალითად, ახალი ან გამომშრალი); საბოლოო მიზნობრივი გამოყენება ან პროდუქციის მდგომარეობა ზუსტად უნდა იყოს მითითებული. აღწერილობა არ უნდა მოიცავდეს სპეციფიკურ სავაჭრო დასახელებას, ზომებს ან სხვა კომერციულ ტერმინებს;

კ) №10 გრაფაში (მცენარეების ბოტანიკური დასახელება) - აღნიშნება ინფორმაცია, რომელიც იძლევა მცენარისა და მცენარეული პროდუქციის იდენტიფიკაციის საშუალებას, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული დასახელების გამოყენებით, გვარის ან სახეების დონეზე. ზოგიერთი რთული შემადგენლობის რეგულირებადი ობიექტისათვის, როგორცაა ცხოველთა კომბინირებული საკვები (ფურაჟი), შესაძლოა, ვერ მოხერხდეს ბოტანიკური დასახელების მინიჭება. ასეთ შემთხვევაში, მცენარეთა დაცვის ეროვნული ორგანიზაციები ორმხრივად უნდა შეთანხმდნენ შესატყვისი დასახელების თაობაზე, ან იწერება „Not applicable“ („არ ივსება“) ან „N/A“;

ლ) №11 გრაფაში (შეფუთვის რაოდენობა და აღწერილობა) - მიეთითება დეტალური ინფორმაცია;

